აღსავლი თოდორიას ძრიელი ფონდი

88

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფონდი 287 / 1 № 88

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფონდი 287 / 1 № 88

ГОСУДАРСТВЕННАЯ БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ
ГОСУДАРСТВЕННОГО ХРАНЕНИЯ

დასკანერებულია 20
14.01.2025

13.

ვალდებულ-
მუშაონ პარტიის მიერ წამოყენებული სახურსათო პროგრამის აქტუალური საკითხები, მათ შორის — სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაკარგოდ გადამუშავებისა და მთლიანად გამოყენების პრობლემები.

ფართო პერსპექტივა გადაეშლება ჭაჭის ნაწნეხიდან, წიპწიდან, საფუარის ლექიდან სპირტის, ღვინომჟავას, ყურძნის ზეთის, საკვები ცილისა და საღებავის მიღებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი მიჯნების აღების საფუძველთა საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კიდევ უფრო გაღრმავება, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება და სრულყოფა, კვების პროდუქტების სიუხვის უზრუნველსაყოფად ტრადიციულ ნედლეულთან ერთად ახალი სახის ნედლეულის ძიება, მოპოვება და უნარიანად გამოყენება, სახურსათო ნაწარმის ხარისხისა და ბიოლოგიური თვისებების მკვეთრი ამაღლება, ასორტიმენტის გაფართოება. ყველა ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის პროცესში პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად შეამოწმებს წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვის ტემპს, გამოავლენს ნაკლოვანებებს, განახორციელებს ღონისძიებებს, რომ ჩვენი მუშაობის ყველა შერითადი მიმართულებით სანიმუშოდ მოეწყოს საქმე, თანმიმდევრობით და რიტმულად ხორციელდებოდეს მეთერთმეტე ხუთწლედში დასახული პროგრამა.

ა. ნიშარაძე,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თ. ნანიტაშვილი,
პარტბიუროს მდივანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

...ბის ...ის მიჯნებია

პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი კმაყოფილებით გასცქერის განვლილ გზას. შარშან აქ იშვა ახალი ინიციატივა: „ლენინურ დამკვრელურ წელიწადს — ყველა რეზერვი მოქმედებაში“. სწორედ რეზერვების ამოქმედების შედეგად წელიწადის განმავლობაში გეგმის ზევით გამოუშვეს დიდძალი პროდუქცია, დაინერგა სამოცამდე ახალი მოდელი. გასული ხუთწლედი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატებით აღინიშნა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს ერთობლივი დადგენილებით ფაბრიკას მიენიჭა საწარმოო კულტურისა და უსაშიშრო შრომის საწარმოს წოდება.

საერთო წარმატებებში კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს თავიანთი წვლილი უდევთ. ისინი წარმატებით ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

ზოია რუხაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ თავიდანვე აიტაცა პატრიოტული ინიციატივა: „სკკპ XXVI ყრილობას — 26 მაღალორგანიზებული, მაღალეფექტური სამუშაო კვირა“. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით კომკავშირის კომიტეტი ყოველი კვირის ბოლოს აჯამებს შეჯიბრების შედეგებს, გამარჯვებულ ბრიგადას გადასცემს გარდამავალ ვიმპელს. ეს ხელს უწყობს მორალურ სტიმულირებასა და საერთო საქმით ახალგაზრდობის დაინტერესებას.

კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა ივალდებულეს კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის შეასრულონ 1981 წლის ორი თვის დავალება. ეკატერინე გელაშვილისა და ნაირა დევრისაშვილის ბრიგადები კარგა ხანია XI ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. ახლა შეიქმნება კიდევ ორი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, აითვისებენ ორ ახალ მოდელს სახელწოდებით. — „კომკავშირული“.

ინერგება კომკავშირელთა რაციონალიზატორული წინადადებანი. ექსპერიმენტული საამქროს ჩამხაზველმა თამაზ არაბულმა და კონსტრუქტორმა ზაურ ჯინჭარაძემ შეცვალეს ბიჭის შარვლის კონსტრუქცია, დაიზოგა 3.388 კვადრატული მეტრი ქსოვილი, რამაც შეადგინა 18.295 მანეთი ეკონომია. საწარმოო განყოფილების კონსტრუქტორმა ვაჟა ჩხენკელმა ორნემსიან მანქანაზე დუბლირებული ქსოვილის შესაკერად გამოიყენა წვრილგორგოლაჭიანი თათი, რამაც გააადვილა დუბლირებული ქსოვილის გადაადგილება. ელექტრომონტიორმა რობინზონ ოქრუაშვილმა დაამზადა სამუშაო სტენდი წნეხის დროის რელეს შესამოწმებლად, რამაც შეამსუბუქა ელექტრომონტიორებისა და წნეხზე მომუშავეთა შრომა.

ამ დღეებში ეწყობა ახალგაზრდების შეხვედრა შრომის ვეტერანებთან დევიზით: „მოწინავეთა გამოცდილება — ყველას!“, გაიმართება თემატური საღამო — „ლენინური კომკავშირი პარტიის აქტიური თანაშემწეა“, „ჩვენი კოლექტივი XI ხუთწლედში“.

მზია მაისურაძე

...რომშენებლის“ ფურცლებზე

...ლი კოლექტივი

...სამშენებლო ტექნოლოგიის ...ვალსაზრისით საჭირო იყო 20-... მეტრამდე გადასარბენი გვი...ების გაყვანა-დამუშავება, და...ხრებული ამოცანაც წარმატე...ით განხორციელდა, ახლა ეს ...ოლექტივები სადგურის მიდა...ებში შეიკრნენ. თ. კაჩმაზო...ისა და გ. კეკელიძის ბრიგა...ებმა 20-30 მეტრი წოლხვრე...ის კედელი ააგეს.

მდეგ კი ამ კედელზე ერთთაღოვანი სადგური წამოიმართება. აი სწორედ ამ საქმის სრულყოფაზე არიან დასაქმებული მოწინავე გვირაბგამყვანთა ბრიგადები.

თ. კაჩმაზოვის ბრიგადაში კეთილსინდისიერი შრომით თავი გამოიჩინეს ვაჟა ალფენიძემ, ომარ კიკნაძემ, ჯემალ კიკაბიძემ, ნოდარ კვიჟინაძემ, იოსებ

გინება და საქმის უსაზღვრო სიყვარული თან სდევთ თემურ გოგიაშვილს, ვალერიან ადუაშვილს, გურამ ხვედელიძისა და სხვებს. ბეკრმა მათგანმა თავი ისახელა მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობაზე, გამოიჩრჩეოდნენ აგრეთვე ალგეთის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგებაზე. ახლა კი სანაქებოდ შრომობენ „ღრმაღელის“ სრულყოფაზე.

შარშანდელი წელიწადი კოლექტივმა მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით დაამთავრა. ახლა აქედანვე აიღეს ტემპი, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი

„თბილისი", 1987, 12/I
№8

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე

საიუბილეო დითირამბები არასოდეს დამიწერია.

არც ახლა ვწერ.

მაგრამ ზოგჯერ გულისწადილის გამოხატვის სურვილი უნებლიეთ ემთხვევა ტრადიციის დინების წესს.

ვერ დათრგუნავ ვერ დაიოკებ, ვერ დაიმორჩილებ.

სამოცდაათი უხინჯო, უწმინდესი, უსპეტაკესი წელიწადი — ასეთია გიორგი ნატროშვილის კუთვნილი წლები.

ასეთია მისი პიროვნება, შემოქმედება, მოღვაწეობა — სამივე ერთ მთლიანობაში კრისტალიზებული, ცოცხალ სახეებსა და საქმეებში გაცხადებული, სასიქადულო მამულიშვილის მაღლიანი კვალით აღბეჭდილი.

1930-იანი წლებიდან გიორგი ნატროშვილი ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის მოწინავე პოზიციებზე დგას. სულ რაღაც ოცდაორი წლისა იყო, როცა მისი პირველი სქელტანიანი წიგნი „ლიტერატურის მეცნიერების საკითხები" გვერდით ამოუდგა მაშინ სახელგანთქმულ ავტორთა წიგნებს. მასში უნდა გამოჩენილიყო და გამოჩნდა კიდეც იმდროინდელი ლიტერატურული მოძრაობის ცენდენციები, მიდრეკილებანი და სულისკვეთება. ყოველივე ეს გაგლილი ისტორიული ეტაპია. ამჟამად ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ სწორედ იმ პირველსავე წიგნში ნათლად და მკაფიოდ გამოიხატა პატივცემული გიორგისათვის, როგორც მკვლევარისათვის, დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, ალღო, ინიციატივა, წვდომის უნარი, არაჩვეულებრივი ადამიანური მგრძნობელობა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ფასდაუდებელი ნაკვლევი და ნაძიები შემატა გიორგი ნატროშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიას. გატკბობთ მისი მონოგრაფიული შრომები სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, იოანე ბატონიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე უაზბეგის, ვაჟა ფშაველას, დავით კლდიაშვილის და ქართული კლასიკური მწერლების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წარსული ეპოქების ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენებსა თუ პრობლემებზე.

მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან მკვლევარის მიერ გამომზეურებული მეტად საინტერესო მასალის გახსენება რად ღირს: გიორგი ნატროშვილმა პირველად მიაგნო და დამაჯერებლად დაამტკიცა, თუ ვინ არის ალ. ჭავჭავაძის მიერ 1804 წელს ფრანგულიდან თარგმნილი თხზულების ავტორი, რომლის ვინაობა მანამდე არავინ იცოდა. მან დედანთან თარგმანის სკურპულოზული შეპირისპირებით ცხადყო, რომ „ახლოით განჩხრეკილი კაცისა" იმდენად არის დაშორებული ორიგინალს, რომ მის ნამდვილ ავტორად შესაძლებელია აღიარებულ იქნას თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე. „დიახ, — დაასკვნის გ. ნატროშვილი თავის გამოკვლევაში „უდაბნოში დაწერილი წიგნი", — აქ დარღვეულია თარგმანის ყველა წარმოსადგენი და შესაძლებელი საზღვარი. ეს უკვე ორიგინალური ნაწარმოებია".

ახლა რამდენი სტატია, გამოკვლევა, წერილი და წიგნი აქვს გამოქვეყნებული ქართველ საბჭოთა მწერლებზე? მერე როგორი გემოვნებით, ერუდიციით, სიღრმით და სიმახვილით. გიორგი ნატროშვილის პუბლიცისტიკა ყოველთვის მებრძოლი, მიზანდასახული, აქტუალური პრობლემებით დატვირთული და ამავე დროს ემოციური, ხატოვანი, უაღრესად ადამიანურია. კითხულობ დოკუმენტურ წყაროებზე აგებულ მის ლაკონურ ნარკვევებს: „რა უხარია და რა სწყინს ხოფელს", „ბალადა თამარ მეფეზე", „100.000 ხანადირო თოფი", „მიჯნა კეთილსა და ბოროტს შორის", და ეცნობით მთელ საქართველოს, მის მოწინავე, ახალოვან ადამიანებს, მათ ახალ საქმეებს, ეცნობით თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემას, მის დინამიკას, მისი ზრდისა და განვითარების ურყევ საფუძვლებს.

და ყველგან გრძნობთ ავტორის ნათელ, მიუდგომელ, პრინციპულ პოზიციას, მის შეურიგებელ დამოკიდებულებას ნეგატიური მოვლენებისადმი, ბუნების დაცვას ეხება იგი თუ ადამიანთა ეთიკურ-ზნეობრივ საწყისებს, მის უშუალობას, თანადგომას და მხარდაჭერას, სადაც საქმე აღმავლობის და წარმატების გზით მიდის. მან ქართული საბჭოთა პროზა გაამდიდრა ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებით, როგორიც არის „ისევ გაზაფხული იყო იორზე", „უდარდელი კაცის სიკვდილი", „ძე კაცისა", „მინდვრის ბიჭი", „ხელთათმანიანი კაცი" და სხვა, როლებშიც სიტყვის იდეურ-ეხოეტიკური ელვარება მჭადროდ არის შერწყმული მის დიდ აზრობრივ-ემოციურ ფუნქციასთან. დახვეწილი, ლაკონიური, ელერადია გ. ნატროშვილის პროზის ენა, სხარტია და მოქნილი დიალოგი. ეს განაპირობებს მის შემოქმედებაში მხატვრული სურათების, სახეების, პასაჟების ცხოველმყოფლობასა და მიმზიდველობას. თითქმის ყოველ ნაწარმოებში იგრძნობა სინამდვილის ახლებურად დანახვისაკენ, მშვენიერების ამაღლებული იდეალებისაკენ სწრაფვა.

ომგადახდილი მწერალი, ხელოვანი, პუბლიცისტი, მოაზროვნე კრიტიკოსი, პროფესიონალი ჟურნალისტი, ერუდიტი მკვლევარი, გამოჩენილი ლიტერატურისმცოდნე, ცნობილი რედაქტორი, პოპულარული საზოგადო მოღვაწე, მუდამ წიგნებში, ხელნაწერებში, საქმეებში ჩაფლული, გულითადობით, უბრალოებით, თავმდაბლობითა და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი — ასეთია გიორგი ნატროშვილის ის ზოგადი ნიშნები და თვისებები, რომლებითაც მან მკითხველი საზოგადოების, თანამოკალმეების, მთელი ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

... ამას წინათ ერემია ქარელიშვილთან ერთად გიორგი ნატროშვილს საგანგებოდ შეეახსენე ჩვენი ორმოცი წლის საერთო მეგობრობის ისტორია. ვიხსენდით და ვიგონებდით სახტუმრო „პალასში" ომამდელი შეხვედრის ეპიზოდებს. მაშინ არაფერი გვითქვამს კარსმომდგარ სამოცდაათ წელზე. ახლა კი საჯაროდ, მხურვალედ და ძმურად ვულოცავ ჩემს ძვირფას გიორგის დაბადების სახელოვან სამოცდაათი წლისთავს, ვუსურვებ კვლავაც ჭაბუკური ენერგიით მოღვაწეობას მშობელი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პროფ. ა. თოფურია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე